თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2019 წლის 31 მაისის სხდომის
ოქმი № 9

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 31 მაისს 13.00 საათზე, 206 აუდიტორიაში შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 38 წევრი.
სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 26 წევრი.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ცვლილებები ორმაგი ხარისხის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ტურიზმი".

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლ. ჩიკვილაძე/

4. დოქტორანტების სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლ. ჩიკვილაძე/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ.

/ უფროსი სპეციალისტი დ. მახვილაძე/

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება #111/01-01; 13.05.2019), ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება #112/01-01; 13.05.2019) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

/ დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

7. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე---26;
წინააღმდეგი---0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 31 მაისის N9 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ცვლილებები ორმაგი ხარისხის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ტურიზმი".

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

მოისმინეს: ცვლილებები ორმაგი ხარისხის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ტურიზმი".

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2 (საფრანგეთი) ორმაგი ხარისხის პროგრამაში „ტურიზმი" განსახორციელებელი ცვლილებები:

1. შეიცვალა პროგრამაში სავალდებულო და არჩევითი კურსების კრედიტების თანაფარდობა - პროგრამის სავალდებულო კურსების რაოდენობა შეადგენს 110

კრედიტს, ნაცვლად 105 კრედიტისა; არჩევითი კურსების რაოდენობა შეადგენს 10 კრედიტს ნაცვლად 15-სა;

2. პროგრამისა და სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები ფორმულირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
3. პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „ტურიზმის პოლიტიკის ანალიზი", ფინანსური მენეჯმენტი მასპინძლობასა და ტურიზმში", „ლიდერული უნარ-ჩვევები"; „გასტრონომიული ტურიზმი", „კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი", „ღონისძიებათა ტურიზმი", „ფრანგული ენა ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობისათვის", „ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა და მენეჯმენტი", „პროექტების დიაგნოსტიკა და შემუშავება" (ფრანგულად);
4. პროგრამიდან ამოღებულია სასწავლო კურსები: „ტურიზმი და რეგიონული განვითარება", „სტატისტიკური ანალიზი ტურიზმში", „ტურიზმის პროექტის მართვა (ფრანგულად)", „კულტურული და აღმოჩენითი ტურიზმი" (ფრანგულად); „პროექტის შეფასება და შემუშავება - 1" (ფრანგულად); „პროექტის შეფასება და შემუშავება - 2" (ფრანგულად); „თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები – 2".
5. რამდენიმე სასწალო კურსმა შეიცვალა სტატუსი:
   - არჩევითის ნაცვლად სავალდებულო გახდა სასწავლო კურსები: „სტრატეგიული მენეჯმენტი ტურიზმში", „ფრანგული B2.1", „ფრანგული B2.2", „ტურების მოდელირება და მართვა";
   - სავალდებულოს ნაცვლად არჩევითი გახდა სასწავლო კურსები: „საერთაშორისო მასპინძლობის მენეჯმენტი", „ტურისტული დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი";
6. პროფესიული პრაქტიკა 14 კრედიტის ნაცვლად წარმოდგენილია 9 კრედიტად;
7. სამაგისტრო ნაშრომი 20 კრედიტის ნაცვლად წარმოდგენილია 22 კრედიტად;
8. სასწავლო კურსები „თანამედროვე ტურიზმის მიდგომები და მეთოდები" (ფრანგულად) და „პროექტის ვალორიზაცია და ორგანიზება" (ფრანგულად) წარმოდგენილია 4 კრედიტად ნაცვლად 5 კრედიტისა;
9. ზოგიერთ სილაბუსში შეიცვალა ავტორი (ფრანგული ენა B2.1, ფრანგული ენა B2.2, კულტურული ტურიზმის მეთოდოლოგია (ფრანგულად), გადამუშავდა ლიტერატურა.

ამასთან აღინიშნა,რომ წარმოდგენილი ცვლილებები დამტკიცდა ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი.ხელაშვილმა, რ.გველესიანმა.

გაიმართა კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-26
წინააღმდეგი-0

დაადგინეს: 1. **დამტკიცდეს** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის - ლიონ 2 (საფრანგეთი) ორმაგი ხარისხის პროგრამაში „ტურიზმი" წარმოდგენილი ცვლილებები;

2. **ეთხოვოს** თსუ აკადემიურ საბჭოს, შეიტანოს ცვლილებები , აკადემიური საბჭოს 2018 წ. 2 აპრილის №97/2018 დადგენილებით დამტკიცებულ ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამაში **„ტურიზმი" (დანართი 289).**

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილის საფუძველზე აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№7496/10, 23.04.2019) თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **თამილა აბესაძის** დიპლომის დანართი. საქმის შესწავლისას საჭირო გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად კურსდამთავრებულის დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული მონაცემების შექმნა და კურსდამთვრებულისთვის მინიჭებული ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ თამილა აბესაძე 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაზე (ბრძანება №4/810, 10.09.2001).

ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთვრებულ თამილა აბესაძეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის**

კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით - **სამრეწველო საქონლის კომერციისა და საქონელმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№003283 (სარეგისტრაციო №01/4605) რეგისტრირებულია თამილა აბესაძის სახელზე.

თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით თამილა აბესაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას, აგრეთვე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესში საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში თსუ რექტორის 2006 წლის 10 იანვრის №4/7 ბრძანებით მინიჭებულ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესში საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის, ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 30 დეკემბრის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელ ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის №633 ბრძანებით დამატკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობით ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან და როგორც თამილა აბესაძეს, ისე დღის განყოფილების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულს მინიჭებული ხარისხის **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით“** ნაცვლად მიენიჭოთ **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით“**

აზრი არავის გამოუთქვამს
გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26;
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატი სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის დღის განყოფილების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ თამილა აბესაძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნე ეკონომისტის კვალიფიკაციით“.**
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის (ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის) ფაკულტეტის სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 30 დეკემბრის შემაჯამებელ ოქმში (ოქმი უნომროა) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დღის განყოფილების სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №..., 30.12.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი
სპეციალისტი ლ. ჩიკვილაძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ლ.ჩიკვილაძემ საბჭოს მოახსენა, რომ საუნივერსიტეტო სადისერტაციო დებულების მე 6 მუხლის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნათია აღლაძის* სადისერტაციო ნაშრომის: *„სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტი“*, (მეცნიერ-ხელმძღვანელები: *ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი)* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი დავით ნარმანია
3. პროფესორი დემურ სიჭინავა
4. პროფესორი თემურ შენგელია
5. პროფესორი თამთა მიქაბერიძე *(სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი)*
6. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
7. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე *(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)*
9. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
10. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი *(მოადგილე)*
11. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
12. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე *(თავმჯდომარე)*
13. ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი *(მდივანი)*

დაცვის თარიღი: *2019 წლის 19 ივლისი, 15 საათი*

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე---26;
წინააღმდეგი---0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღის შესახებ:

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *ნათია აღლაძის* სადისერტაციო ნაშრომის: *„სოციალური კაპიტალი, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტი“*, (მეცნიერ-ხელმძღვანელები: *ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი)* სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ნუგზარ თოდუა
2. პროფესორი დავით ნარმანია
3. პროფესორი დემურ სიჭინავა
4. პროფესორი თემურ შენგელია
5. პროფესორი თამთა მიქაბერიძე *(სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი)*
6. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
7. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე *(გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)*
9. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
10. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი *(მოადგილე)*
11. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
12. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე *(თავმჯდომარე)*
13. ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი *(მდივანი)*

დაცვის თარიღი: *2019 წლის 19 ივლისი, 15 საათი*

მოისმინეს: დოქტორანტების სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლ. ჩიკვილაძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ლ.ჩიკვილაძემ საბჭოს მოახსენა, ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტის დოქტორანტ *მარიამ ჯიბუტის* სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი:

სადისერტაციო თემად განესაზღვრა: ,,სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა:
კენჭისყრის შედეგები: მომხრე---26;
წინააღმდეგი---0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტ *მარიამ ჯიბუტს* სადისერტაციო თემად განესაზღვრა: ,,სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ***პროფესორი ეთერ ხარაიშვილი***

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება #111/01-01; 13.05.2019), ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება #112/01-01; 13.05.2019) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

/ დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება N111/01-01. 13.05.2019) ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება N112/01-01.13.05.2019) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის და მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისათვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, საბჭოს წევრებს მოახსენა რომ არსებული წესის თანახმად ფაკულტეტის საბჭომ უფლებამოსილება უნდა მისცეს დეკანს, რათა მიმართოს თსუ რექტორს,როგორც აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარეს, აღნიშნული საკითხის აკადემიური საბჭოს სხდომაზე გასატანად.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში (N118/2014) სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, დაშვებულ იქნას გამონაკლისი და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორისა და ასოცირებული პროფესორების (რექტორის ბრძანებები-№111/01-01, 13.05.2019; №112/01-01, 13.05.2019; №117/01-01, 16.05.2019) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში: ეკონომიკასა და ბიზნესში საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა პროფესორი 1 საშტატო ერთეული,(რექტორის ბრძანება N111/01-01. 13.05.2019) კატეგორია „ა"; მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა ასოცირებული პროფესორი (ადამიანური რესურსების მართვის პროფილით) 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ა"; მარკეტინგის კათედრა ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ა"; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა ასოცირებული პროფესორი 3 საშტატო ერთეული კატეგორია „ა", (რექტორის ბრძანება N112/01-01.13.05.2019;) 65 წლის ან მეტი ასაკის პირებს დაერთოთ ნება მიიღონ მონაწილეობა და შესაბამისად მათ მოეხსნათ ასაკობრივი ბარიერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-26

წინააღმდეგი-0

დაადგინეს:

1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში (N118/2014) სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, მოიხსნას ბარიერი სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის და მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისათვის: პროფესორის 1 საშტატო ერთეული,(რექტორის ბრძანება N111/01-01. 13.05.2019) კატეგორია „ა"; მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა ასოცირებული პროფესორი (ადამიანური რესურსების მართვის პროფილით) 1 საშტატო ერთეული კატეგორია „ა"; მარკეტინგის კათედრა ასოცირებული პროფესორი 1 საშტატო ერთეული

კატეგორია „ა“; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა ასოცირებული პროფესორი 3 საშტატო ერთეული კატეგორია „ა“,(რექტორის ბრძანება N112/01-01.13.05.2019).

2. ეთხოვოს თსუ-ის რექტორს აღნიშნული საკითხი განიხილოს თსუ აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესახებ.

/ უფროსი სპეციალისტი დ. მახვილაძე/

ბატონმა დ. მახვილაძემ საბჭოს წინაშე დააყენა 3 საკითხი:

1. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობის განხილვა.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევისათვის კენჭისყრის მეთოდის (ფარული ან ღია) შერჩევა.
3. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევისათვის ფაკულტეტის სხდომის თარიღის დანიშვნა.

უფროსმა სპეციალისტმა დ. მახვილაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-12 მუხლის თანახმად შესაძლებელია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევა.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა შესაძლებელია ღია კენჭისყრით.

ამასთან, გ. მახვილაძემ წინადადება წამოაყენა, **ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე პირის არჩევის სხდომის 2019 წლის 08 ივლისამდე დანიშვნის შესახებ.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-26

წინააღმდეგი-0

დაადგინეს: 1. მოიხსნას თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 65 წლის ზევით ასაკის მქონე პირის არჩევნებში მონაწილეობის ბარიერი;

2. თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევნები ჩატარდეს ღია კენჭისყრით.

3. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე პირის არჩევის სხდომა დაინიშნოს 2019 წლის 08 ივლისამდე.

მოისმინეს: 1. პროფესორმა გ. ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა სამუშაო შეხვედრა გამართა ეკონომიკის მინისტრთან, სადაც დაისვა საკითხი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე განათლებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავების შესახებ.

2. პროფესორმა გ.ღაღანიძემ გარკვეული შენიშვნები გამოთქვა რუსთაველის ფონდის მიერ საგრანტო პროექტების განხილვის საკითხებთან დაკავშირებით.

3. პროფესორმა გ.ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის მიმართულება მომავალ სასწავლო წელსაც დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ეროვნულ გამოცდებზე აბიტურიენტთა მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ ეკონომიკის, ბიზნესის და ტურიზმის მიმართულებით.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

ეკონომიკის და ბიზნესის
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: გ. ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. მაისურაძე